ს ს ი პ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

10.07.2015 №125

თბილისი

სტუ-ს ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის ვაკანტური სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის დებულებისა და ინსტიტუტის დირექტორის წერილის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩატარდეს, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებელი კონკურსი დანართი №1-ით განსაზღვრულ ვაკანტურ თანამდებობებზე.
2. კონკურსში მონაწილეთა განაცხადების მიღება დაიწყოს 2015 წლის 11 ივლისიდან და დასრულდეს 2015 წლის 11 აგვისტოს, 17 საათზე. საბუთები მიიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის შენობაში (მის: ჭავჭავაძის გამზ.№60, IV სართული, ოთახი №232 ტელ: 2 22-74-00), 10 საათიდან – 17 საათამდე.
3. კონსურსი ჩატარდეს 2015 წლის 14 აგვისტოს.
4. განცხადება კონკურსის ჩატარების შესახებ, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნდეს პრესაში და განთავსდეს უნივერსიტეტის ოფიცილურ ვებ გვერდზე;
5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

რექტორი ა. ფრანგიშვილი

ვიზა:
სამართლებრივი უზრუნველყოფის
დეპარტემენტის უფროსი ბ. მაისურაძე

*დანართი №1.*

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ცოტნე მირცხულავას სახელობის წყალთა მეურნეობის ინსტიტუტის სამეცნიერო თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული საკონკურსო ვაკანტური თანამდებობების ნუსხა და კონკურსისათვის წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალი

- **ზღვებისა და წყალსატევების განყოფილება** – უფროსი მეცნიერ–თანამშრომელი – 1,0 საშტატო ერთეული – სპეციალობით ინჟინერ-ჰიდროტექნიკოსი (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი);
- **ზღვებისა და წყალსატევების განყოფილება** – მეცნიერ–თანამშრომელი – 0,5 საშტატო ერთეული – სპეციალობით მინერალური და სასმელი წყლების მოპოვებისა და გადამუშავების ტექნოლოგი (დოქტორის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი);
- **გარემოს დაცვისა და საინჟინრო ეკოლოგიის განყოფილება** – მეცნიერ–თანამშრომელი – 1,0 საშტატო ერთეული – სპეციალობით ინჟინერ-ქიმიკოსი (მაგისტრის აკადემიური ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის მქონე პირი).

**კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველმა საკონკურსო განცხადებას თან უნდა დაურთოს:**

ა) განმცხადებლის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ) კადრების მიერ დამოწმებული შრომის წიგნაკის ქსეროასლი;

დ) უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების, დოქტორის აკადემიური ხარისხის ან მასთან გათანაბრებული სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;

ე) გამოქვეყნებულ შრომათა ნუსხა ბოლო 10 წელში (დამოწმებული);

ვ) ერთი სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც სრულად წარმოაჩენს ავტორის სამეცნიერო მიმართულებას;

ზ) სამეცნიერო საგრანტო პროექტებში მონაწილეობა 5 წელში (ჩამონათვალი);

თ) პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, დანერგვის აქტების და სხვ. ჩამონათვალი ბოლო 5 წელში.

ი) შესაბამისი დარგის ერთი მეცნიერის რეკომენდაცია (საკონტაქტო ინფორმაცია).